

№ 174 (3658)

1968 წ.

სამხატვრო, ოთხნაბი, შანი 8 კაპ.

საბარტველონ სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

გამოცემის 25-ე წელი.

მეტეოლოგიური ინფორმაცია უმელოთ

წახაპორი, 3 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სექტორი). მოუტრავთა ოლიმპიური გუნდის შემადგენლობის შესარჩევამ ან საკავშირო ჩემპიონატმა ტურნირის პროგრამიდან ამოიღო ქალთა ასპარეზობანი 400 და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით, აგრეთვე 200 მეტრზე ბატერეულით ცურვაში. სხვა სახეობებში კი, როგორც ვიტყობინებოლით, მონაწილეთა რაოდენობა მეტისმეტად შეზღუდულია, მაგრამ ისე მცირერიცხოვანი, როგორც 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ვაჟთა ასპარეზობა განსწავლეთ, ანცერთი სახეობა არაა.

სსრ კავშირის ჩემპიონის პირველი ოქროს მედალი სწორედ 400 მეტრზე ცურვაში გათამაშდა, სტარტზე გამოვიდნენ მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტი ს. ბელიცკი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ა. იოაკიმიძე და ფრუნჯული ა. ანარბაევი. უკვე მესტარტის ნიშნამდე იყო ცნობილი, რომ ამ სახეობაში სამთაჰილდს მარტო ოქროს მედლის ბედი უნდა გადაეყვებოდა, ვინაიდან თუ შეჯიბრებაში ხუთზე ნაკლები მონაწილეა, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები არ თამაშდება. ცხადია, იოაკიმიძისა და ანარბაევის წარმატების იმედით არ უნდა ჰქონოლით. მართლაც შუა დისტანციის შემდეგ აშკარა გახდა მოსკოველის უპირატესობა და გამარჯვებაც მის ღარჩა — 4.21,7. იოაკიმიძე II ადგილზე გავიდა — 4.40,5. თუმცა იოაკიმიძის შედეგს უკეთესი შედეგისთვის შეეძლო წავიდა. (საქართველოს რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნის, 13 წამით ჯობია მის ამ მაჩვენებელს). ანარბაევის შედეგია 4.54,8.

გუნდის საბაზოს გრძელდებოდა ნახევარფინალური შეხვედრები. 100 მეტრზე ბრასით ვაჟთა ასპარეზობის ნახევარფინალში ყველას აქობა 19 წლის ლეოველია ი. პოლტარკოვი — 1.10,2.

ქართული ათლეტიკა გააგზავრებინან მესიკოს

ქიდაობის საკავშირო ფედერაციამ დასახელა იმ სპორტსმენთა გვარები, რომლებიც გაემგზავრებიან მესიკოს, ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. სსრ კავშირის თავისუფალი სტილის მოქიდავეთა გუნდში შევიდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): ხალხთა IV სპორტული სპარტაკადის ჩემპიონი, სომხეთის წარმომადგენელი ნ. ალბარტინი, მსოფლიოს ხუთჯგონი ჩემპიონი, მახაჩყალელი ბ. ალიშვილი, ევროპის ექს-ჩემპიონი, ორჯგონიკიდელი ვ. თაყაიშვილი, ევროპის ექს-ჩემპიონი და მსოფლიო პირველობის პრიზიორი, თბილისელი ზ. ბარბაქაძე, არაერთჯგონი ჩემპიონი, მახაჩყალელი ი. შახმურადიანი, მსოფლიოს ჩემპიონი, კიეველი ბ. გურამიანი, ევროპის ექს-ჩემპიონი, თბილისელი ზ. ლომიძე, ოლიმპიური თამაშების მსოფლიოსა და ევროპის არაერთჯგონი ჩემპიონი ბ. მელქაძე. ნაკრების სათადარიგო წევრებია არიან: ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ორჯგონიკიდელი ი. გუგუშვილი (მსუბუქი წონა) და ევროპის ჩემპიონი კიეველი ვ. გუგუშვილი (კვემძიძე).

კლასიკოსთა ნაკრები ასე გამოიყურება: მსოფლიო ჩემპიონი ვ. ბაქაშვილი (ალმა-ათა), ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი რ. პაპაშვილი (ტაშკენტი), მსოფლიოს ორჯგონი ჩემპიონი რ. რაჭაბერაძე (თბილისი), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სპაშვილი (მოსკოვი), მსოფლიოს ჩემპიონი ვ. იბრაჰიმოვი (მოსკოვი), ევროპის ჩემპიონი ი. ბლინიძე (თბილისი), მსოფლიოს ჩემპიონი ნ. იბრაჰიმოვი (როსტოვი), ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების არაერთჯგონი პრიზიორი ბ. რაჭაბერაძე (დენინგრადი). გუნდის სათადარიგო წევრები არიან: ევროპის ჩემპიონი, ზაპოროჟიელი ა. გრიგორიევი (მსუბუქი) და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ვორონეჟელი ვ. მერკულაძე (კვემძიძე).

როგორც ხედავთ, საბჭოთა ოლიმპიელებს შორის 4 საქვეყნოდ ცნობილი ქართველი ათლეტიკა. რურუამ, ბერიაშვილმა და ლომიძემ ერთხელ უკვე მოხინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი ოლიმპიურ თამაშებში (ტოკიოში რურუამ ვერცხლის მედალი დაიმსახურა), ხოლო ბლინიძე ოლიმპიადში წელს პირველად ცდის ძალას. ღრმად ვარდარწმუნებული, რომ ისინი წარმატებით გააგრძელებენ ქართველი მოქიდავეების სახელოვან ტრადიციებს და წინამორბედთა მსგავსად არ დარჩებიან ოლიმპიური მედლების გარეშე. გაიხსენეთ ზელისინის ოლიმპიადი, რომელშიც ოქროს მედლები მოიპოვეს დ. ციმაკურიძემ და ა. მგერკიშვილმა. 4 წლის შემდეგ მედლებში ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: გ. კარტოზია და მ. ცალქაღალიანიძე. რომში ასეთივე წარმატებას მიაღწია ა. კორიძემ. ჩვენ ჩამოვთვალეთ მხოლოდ ოქროს მედა-

ლოსნები, მაგრამ რამდენა ქართველმა მოქიდავემ მიიღო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები?..


რა პერსპექტივებით მიემგზავრებიან საბჭოთა მოქიდავეები მექსიკაში? ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ, სადაც ოქროს მედლები თავისუფალი სტილით მოქიდავეთა შორის მხოლოდ ა. მელქაძემ და ა. ივანიცკიმ მოიპოვეს, ჩვენს ფალავნების აღმავლობის პერიოდში ქონდათ და კრიზისიც. ასე მაგალითად, მსოფლიოს 1965 წლის ჩემპიონატში ჩვენები III ადგილზე იყვნენ, ხოლო მომდევნო, 1966 წელს, თურქეთის მოქიდავეებთან მიმე ბრძოლაში ევროპის ჩემპიონობა მოიგეს. ერთი წლის შემდეგ კი იმავე თურქებში I ადგილი დაუთმეს მსოფლიო ჩემპიონატში. შარშან პოზიციები დავითეთ კონტინენტის მასშტაბითაც, მაგრამ ბრწყინვალე რევანში ავიდეთ დელის მსოფლიო ჩემპიონატში. წლეულს სსრ კავშირის ნაკრები ევროპაში უძლიერეს გუნდად ითვლება.

ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. დიკინის აზრით, ბოლო შემდეგები იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საბჭოთა მოქიდავეები 8 წონითი კატეგორიიდან ექვსში იზეიმებენ წარმატებას. ნაკრების „აქილევსის ქუსლია“ უმჯობესი და ქვემსუბუქი წონითი კატეგორიები, სადაც ტრადიციულად ჩამოვრჩებიან უცხოეთის ფალავნებს.

კიდევ უფრო უკეთესი შანსები აქვთ ჩვენს „კლასიკოსებს“, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ ტოკიოს ოლიმპიადის მწარე გაკვეთილი, სადაც ერთადერთი ოქროს მედალი მიიღო ა. კოლენოვმა, სსრ კავშირის ნაკრების ახლანდელმა უფროსმა მწვრთნელმა. სამაგიეროდ, მომდევნო წელს, ჩვენმა „კლასიკოსებმა“ ტამპერეს მსოფლიო ჩემპიონატში თავისებური რეკორდი დაამყარეს — 8-დან 7 ოქროს მედალი დაიხაყოთ. მას შემდეგ, სსრ კავშირის ნაკრებს არ დაუთმია პირველობა არც მსოფლიო ჩემპიონატებში, არც ევროპულში.

ოლიმპიადი კარზე მოგვადგა. 17 ოქტომბერს მესიკოს „პისტაქოლს“ დარბაზში დაიწყო თავისუფალი სტილის მოქიდავეთა ოლიმპიური ტურნირი, 28 ოქტომბერს კი სარბიელზე გამოვლენ „კლასიკოსები“.

ბ. ხაჩიკიანიანი, სსრ კავშირის ქიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი. მოსკოვი.



ოლიმპიური ჩიკაღღანი ესპანეთის მინაზე

ბარბაქაძე, 2 სექტემბერი. მესიკოს ოლიმპიური თამაშების ჩიკაღღანი ღღეს გენუიდან ბარსელონას ესტუმრა და დაიწყო მისი 11-ღღანი მოგზაურობა ესპანეთში. ბარსელონაში ოლიმპიურ ჩიკაღღანს ნამდვილი ზეიმით შეხვედა ათასობით აღამიანი. პაერში აფრინდა 5 ათასი მტრელი.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

● სანტ-ლუი-ბასილი (აშშ). 2 სექტემბერი. აშშ-ის ოლიმპიულ მძლეოსანთა აქ გამართულ ტურნირში 20 წლის ვ. მეტრუსმა 400 მეტრი 44,4 წამში გააჩინა. ეს 1,1 წამით ჯობია ტ. სმითის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს, რომელიც მან შარშან სან-სოსეში დაამყარა.



● ლონგ-ბინი. 2 სექტემბერი. აშშ-ის ოლიმპიულ მოცურავეთა შესარჩევ შეჯიბრებაში ერთ ღღეს 3 მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა. ტოკიოს ოლიმპიადის 4 ოქროს მედლის კავალერმა დ. შოლანდერმა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის ფინალში 1.54,8 აჩვენა, ეს ძველ რეკორდს 1,4 წამით ჯობია. 18 წლის მ. სპიტცმა 0,1 წამში „ჩამოაჭრა“ თავისივე მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე ბატერეულით ცურვაში — 55,0. მესამე რეკორდის ავტორია ჩ. ბიკუსი, რომელმაც 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 4.39,4 აჩვენა.

● ლონდონი. 2 სექტემბერი. რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების ჩემპიონი მარათონში ეთიოპელი ა. ბეილა გამოეწერა ფრაიბურგის უნივერსიტეტის კლბიდან, სადაც მარცხენა მუხლს მკურნალობდა და წვრთნას შეუდგა. მას განზრახული აქვს მესიკოშიც დაიყვანოს ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული.

● ბუდაპეშტი. 2 სექტემბერი. უროს ტყორცნაში მსოფლიოს რეკორდსმენმა დ. ეივოციმ უნგრეთის აქ გამართულ ჩემპიონატზე 73,36 მეტრი აჩვენა, რაც წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში და 38. სმ-ით ჩამორჩება მსოფლიო რეკორდს.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

● ლონდონი. 3 სექტემბერი. ინგლისის დედაქალაქის „უიტი-სიტის“ სტადიონზე გაიმართა დიდი ბრიტანეთისა და პოლონეთის მძლეოსანთა მატჩი. შეჯიბრების მსვლელობისას დამყარდა ბრიტანული რეკორდი 400 მეტრზე რბენაში. მისი ავტორია ლონდონელი მძლეოსანი ქალი ლ. ბოარდი — 53 წამი. სენსაციური გამოდგა ქალთა სივრცეზე სტილი. აქ ყველას აქობა 23 წლის ინგლისელმა მ. შერუდმა, რომლის შედეგია 659 სმ. გამარჯვებულმა აქობა სახელგანთქმულ პოლონელ სპორტსმენს ი. კირმენტიანს, სიმაღლეზე მსტომელ ვაჟებში იმარჯვა ე. ჩერნიკმა (პოლონეთი) — 211. ბაღრას ტყორცნაშიც მისი თანამემამულე იყო პირველი — ე. პიონტოვსკი — 58,39. 5 კილომეტრზე საჩვენებელ რბენაში მსოფლიოში საუკეთესო შედეგი აჩვენა მსოფლიო რეკორდსმენმა, ავსტრალიელმა რ. კლარკმა — 13.27,8.

● ფონტანო. 3 სექტემბერი. ფრანგი მძლეოსნები გაცხოველებით ემზადებიან ოლიმპიური თამაშებისათვის. ისინი ვარჯიშობენ მაღალმთიან ბანაკში, აქ რ. სენტ-რომმა სიმაღლეზე სტილით გადარბა 218 სმ. ქალებში იმარჯვა გ. ბარანი — 175. ბ. შობელმა 110 მეტრზე თარგბენში მანძილი დაფარა 18,8 წამში. სამივე შედეგი საფრანგეთის ახალი რეკორდია.

● ტანო. 2 სექტემბერი. ამერიკის ამ მაღალმთიან ქალაქში მოეწყო მძლეოსანთა შეჯიბრება. ე. კარლსმა 200 მეტრის გარბენას 20,1 წამი მონადობა. იგი მეორე იყო 100 მეტრზე რბენაში. აქ პირველობა მ. ბენდერი. ორივე სპორტსმენის შედეგია 10 წამი. აშშ-ის ახალი რეკორდი დაამყარა ჯ. ბაჩლორმა, რომელმაც 5 კილომეტრი გაიჩინა 13.33,7-ში.

● კანკანი. 3 სექტემბერი. საბჭოთა დიდოსტატი ლ. შტიინი ლიდრობს აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში. მესამე ტურში მან 29-ე სელაზე დაამარცხა ბელგიელი დიდოსტატი ი. კელი. გამარჯვა ვ. ანტონინი — იუგოსლავიელ დამაინოვითან.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

მოსკოვში გაიმართა „კლასის უმაღლესი ღღის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვედნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და ერვენის „არარატი“. მატჩი დამთავრდა რკინიგზელთა გამარჯვებით — 2:1.

სტარტუნა — 13000...

სხალ სასწავლო წელს
სტუდენტთა ახალი ნაკადი მიიღეს საქართველოს საშუალო-სპეციალურმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა. პირველ კურსზე მეცადინეობას შეუდგა 18 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი. ათასობით ახალგაზრდამ შეაღო ტექნიკუმებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების კარი.

თბილისის უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, პედაგოგიური, უცხო ენების, თეატრალური, ფიზკულტურისა და სხვა ინსტიტუტებისა და სასწავლებლებში ბევრმა სპორტსმენმაც წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და მეცნიერების დაუფლებას შეუდგა.

სტუდენტთა ახალი ნაკადის გასწავლებაშია კეთილმოწყობილი აუდიტორიები, კაბინეტები, ლაბორატორიები, სპორტული ნაგებობანი... საქართველოს სტუდენტ-სპორტსმენთა არმიას რომ შესანიშნავი ტრადიციები აქვს და ისინი განმტკიცებისთვის ზრუნვა არც წელს დავიწყებთ.

ბევრი უკვე სახელოვანი სპორტსმენი ჩაირიცხა უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ და სხვა ინსტიტუტებში, მაგრამ სპორტის მოყვარულთ ყველაზე ფართოდ კარი ფიზკულტურის ინსტიტუტზე გაუღო. კონკურსმა საუკეთესოთა შორის საუკეთესონი შეარჩია და აი, 2 სექტემბერს პირველი ლექციებიც ჩატარდა.

ეს სურათები სწორედ ფიზკულტურის ინსტიტუტში გამართულ პირველ მეცადინეობაზე მოგვითხრობს. მარცხნივ — ინსტიტუტის ანატომიის კათედრის გამგე, პროფესორი გ. თვალაძე, მარჯვნივ — ფეხბურთის კათედრის მასწავლებელი ხ. შუღრა ატარებს პირველ მეცადინეობას.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.



ცვლა მოვიდა

ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი — საქართველოში ინჟინერთა აღზრდის სამკვდელო, ფართოდაც ცნობილი არა მარტო თავისი პროფესორ-მასწავლებლებითა და აქ აღზრდილ სახელოვან მეცნიერთა კადრებით, არამედ მდიდარი სპორტული ტრადიციებითაც.

წლეულს მისში რესპუბლიკის სტუდენტთა სპორტულ თამაშებზე სპორტ 28 სახეობიდან 18 პირველი ადგილი დაიკავა. თავისუფალ ჭიდაობაში უძლიერესი ფალავანის სახელი მოიხვეჭა ინსტიტუტის აღსაზრდელმა ნ. მოღებამძემ. მას არც ს. ჯაფარიძემ ჩამორჩა და კლასიკურ ჭიდაობაში I ადგილი დაიხსია. თვით ისახელეს ფეხბურთში, გ. შუღრაძემ და რ. მარსაგივილმა. ტანვარჯიშში თამაშების ჩემპიონი გახდა თ. კობახიძე, ფარიკაობაში — რ. გოშაძემ... ამ

ასპარეზობათა შემდეგ სტუდენტ-მა-სპორტსმენებმა წარმატებით ჩააბარეს გამოცდები და საწვრთნელად ბათუმის სპორტულ ბანაკს მიამუშურეს.

... სოქში ფრენბურთელთა „ა“ კლასის საგზურის შესარჩევი ტურნირი მიმდინარეობს. ამ შეჯიბრებაში სპი-ს ვაჟთა კოლექტივიც მონაწილეობს. მართალია, ტურნირი ჯერ არ დამთავრებულა მაგრამ წინასწარ შეჯიბრებებში თბილისელთა მიერ მოპოვებული გამარჯვებები საბოლოო წარმატების კარგი პირობაა. ინსტიტუტის წყალბურთელ ვაჟთა კოლექტივი ჩაება „ა“ კლასის საგზურის შესარჩევი ტურნირში, რომელიც ჩვენს დედაქალაქში მიმდინარეობს.

მედიკოს ოლიმპიური თამაშებიც ხომ კარგა მომდგარი და ინსტიტუტის სპორტსმენებსაც ახალი საზრუნავი გაუჩნდა. სწორედ ამ საზრუნავზე ჩამოგვივლო საუბარი ინსტიტუტის ფიზიკურისა და სპორტის კათედრის გამგემ მ. კეკელიძემ.

— ჩვენი ინსტიტუტიდან სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების ოთხი კანდიდატია. ესენი არიან კალათბურთელები ზ. საკანდელიძე და ს. კოვალენკო, მოჭიდავე რ. რურუა, ტანვარჯიშე ი. ნინოშვილი.


... ახალი სასწავლო წელი ინსტიტუტში წარმატებით დაიწყო. მომავალ ინჟინერთა ოჯახს წლეულს ბევრი ახალგაზრდა შეემატა. მათ შორის არიან უკვე სახელგანთქმული სპორტსმენებიც. სტრანსპორტო განყოფილებაზე ჩაირიცხნენ: შუბის ტყორცნაში საქართველოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ლ. საბაური, საქართვე-

ლოს რეკორდსმენი ათლეტიკაში, კუბუტა ნაკრების წევრი თ. გოგიბერიძე, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ჭიდაობა საბოლოო თ. ნათელაშვილი, ავტობიატიკისა და ტელემექანიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა საქართველოს გოგონათა ნაკრების წევრი ხუთჯიდაში — ლ. გუკი, მოხარდ მძლეოსანთა ნაკრების წევრი 80 მეტრზე თარჯობენში ლ. ზგონიკოვა, საქართველოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში თ. მიქელაძე, მოხარდებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ზ. ნიკუტაძე და სხვ.

ერთი სიტყვით, ინსტიტუტში ღირსეული ცვლა მოვიდა და გვეჯერა, რომ ისინი თავიანთ წვლილს შეიტანენ და სასწავლებლის სპორტულ დიდებაში.

დ. ბაგინაძე.

საკანცელარია



წლიწინების რაიონის სოფელ მანანდის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები ჭეშმელ და ვალერი შანავები ველოსპორტით არიან გატაცებული. მწვრთნელი ა. ვასაკიძის ხელმძღვანელობით ისინი გულმოდგინედ მეცადინეობენ სპორტსკოლის ველოსპორტში. ჭეშმელა და ვალერი ამას წინათ მონაწილეობა მიიღეს ნატახტარში გამართულ ასპარეზობაში და საკმაოდ კარგი შედეგები მიიღეს. სურათი: ჭეშმელ (მარცხნივ) და ვალერი შანავები მორიგი ვარჯიშის შემდეგ.

ფოტო და ტექსტი ვ. გენგიურიანს.

რეზერვს — მეტი ყურადღება!

პროფტექნიკური სასწავლებლების XI საკავშირო სპარტაკიად, რომელიც კომკავშირის 50 და „შრომითი რეზერვის“ 25 წლისთვის მიეძღვნა, დაუფიქარი იქნება ფინალური ასპარეზობის მონაწილე 20 ეროვნების 2500-ზე მეტი წარმომადგენლისთვის.

შრომელთა საიმედო რეზერვს ბელორუსიის დედაქალაქში ჩინებულ მასპინძლობა გაუწიეს. სპარტაკიადის მთავარი მსახი იყო საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, სახელოვანი მფრინავი პ. გოვოლაჩევი, რომელიც ადრე „შრომითი რეზერვის“ სასწავლებელში სწავლობდა. საპატო სტუმრად მოწვეული იყო პროფტექნიკური სასწავლებლის ყოფილი აღსაზრდელი, სამბოთა კავშირის გმირი, მფრინავი-კოსმონავტი პ. პოპოვიჩი.

ჩვენი გაზეთი ადრე იუწყებოდა ქართველი სპორტსმენების წარმატებულ სპორტულ ტანვარჯიშსა და მავილის როგორც. განსაკუთრებულ ქებას იმსახურებენ ფრენბურთელი გოგონები. გადამწყვეტ ბრძოლაში მათ დამარცხეს სომხეთის წარმომადგენლები და დამსახურებულად მოიპოვეს ჩემპიონობა.

ჩვენმა ჭაბუკებმა გოგონებს ღირსეული „რანდობა“ ვერ გაუწიეს და VI ადგილს დასჯერდნენ. კარგად გამოვიდნენ კალათბურთელი გოგონებიც, რომლებმაც წინ მხოლოდ აშერბაიჯანის ნაკრები გაუშვეს. ლატვიის ძლიერი გუნდი კი III ადგილზე დატოვეს.

ფინალურ შეჯიბრებში ურიგოდ არც მოსახიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეები გამოხლნენ (IV ადგილი).

დინარჩენ სახეობებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები დიდი წარმატებებით ვერ დაიქანდნენ, მხატვრულ ტანვარჯიშში კი საერთოდ არ გამოხლნენ.

საკანცელარია

საკანცელარია

ს. თოგაშვილი
— ჩემპიონი

თბილისში, ცენტრალურ საქალაქო კვლევით და მეთოდურ საქართველოს პირველობა ასუქრიან შაშვი.

დიდი წარმატება ხვდა ახალგაზრდა პირველთაწარგოსანს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს სერგო თომასშვილს, რომელმაც 10 ქულით (13-დან) საქართველოს ჩემპიონის სახელი დაიხსია. ახალმა

ჩემპიონმა 8 პარტია მოიგო, 4 უანით დაამთავრა და ერთი (ოსტატ ა. ბაბაიანთან) წააგო.

II ადგილი დაიკავა ოსტატობის კანდიდატმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა ვ. ბახტაძემ — 9,5. III ადგილი დაიხსია კასპის „ელექტროაპარატს“ ქარხნის კაბინეტური მშენებლობის განყოფილებაში უფროსმა, პირველთაწარგოსანმა ვ. კანდელიძემ — 9.

მომდევნო ადგილებზე არიან ოსტატ ს. პახლავანი, ოსტატობის კანდიდატი გ. მინასიანი (ორივე — თბილისი) — 8,8, კ. ივანენკო (სოხუმი) — 7,5, ოსტატობის

კანდიდატი ე. ინჭიკიელი (თბილისი). ა. დურნიკოვი (ბათუმი) — 5,5-5,5. ი. ბესტაევი (ცხინვალი). — 5. ჯ. ჯავახია (თელავი), ვ. ხარებოვი (ცხინვალი) — 4,4, ა. კონჯარია (ფოთი) — 3,5 და ოსტატობის კანდიდატი ნ. მამაკოვი (თბილისი) — 0,5.

თომასშვილმა და ბახტაძემ სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

შესანიშნავად ითამაშა პირველობის უკონკურსო მონაწილემ, აშერბაიჯანის ჩემპიონმა, ოსტატმა ა. ბაბაიანმა, რომელმაც ტურნირი დაუმარცხებლად გასვლო.

პ. სარგაშვილი.

იმედი

ბატუკ ცხენოსანთა წლეველი რესპუბლიკური პირველობის შემდეგ საქვეშრო სარიხელზე კარგად გამოხლნენ იმედიც გვამოდა. ამის საფუძველს საკვეშრო შეჯიბრების მთავარებების მიხედვით მდგრადი წარმატებები გვაძლევდა.

ბატუკ ცხენოსანთა საკვეშრო პირველობამ, რომელიც ამ დღეებში დაიბრუნდა ლატვიის ქალაქ პრიეკულეში, ვარაუდით გამართლდა. საქართველოს წარგზავნილები ყველა სახეობაში მოხლოდნენ იბრძოდნენ და 12 უძლიერეს კოლექტივს შორის ბოლომდე ყველაზე იმედინად მიიწვედნენ ჩემპიონობისკენ.

ბოლოთიერებაში III ადგილისა და „გახსნის პრიზზე“ დაბრკოლებათა გადალახვაში I ადგილის მოპოვების შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ხელთ იგდეს ლიდერობა. აღსანიშნავია, რომ ვახსნის პრიზზე ათმა სპორტსმენმა შეძლო ყველა დაბრკოლების დაძლევა. მათ შორის იყო ჩვენი რესპუბლიკის ოთხივე მხედარი — სტეპლიანი, ბერეგოვი, ლაბაშვილი და იაკენკო.

„აშორჩევი“ დაბრკოლებათა

გადალახვაში საქართველოს მხედრებმა ყველაზე რთული, მაგრამ „ოქროს“ ქულედად შეფასებული წინალობების დაძლევა იჩინეს. მართალია, ასეთი სითამამისთვის ისინი V ადგილს დასჯერდნენ, მაგრამ წარმატებლობას ლიდერობისთვის ხელი არ შეუშლია, ბოლოსწინა სახეობაში — სამჭიდში მოპოვებულმა II საპრიზო ადგილმა კი ჩემპიონობა რაღაც „შესაძლებლობად“ აქცია.

„საბჭოთა კავშირის თასზე“ დაბრკოლებათა გადალახვა ცხენოსნობის უძნელესი სახეობაა. ჩვენმა ჭაბუკმა მხედრებმა მკაცრი გამოცდის წინ დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს. მათ პირველად მოიპოვეს თასი, ჩამოიტოვეს მასპინძლები და რამდენიმე მხედრებამ ამ სახეობაში ჩვენი რესპუბლიკის კვარტეტიდან II ადგილი წილად ხვდა სტეპლიანს.

ასპარეზობის შედეგების საბოლოო დაქანებისას საპრიზო ადგილების უმეტესობა რაოდენობამ 5 ქულით დააწინაურა რსფსრ-ს გენდრი. საქართველოს მხედრები II ადგილს დასჯერდნენ, III ადგილზე არიან მოლდაველი ცხენოსნები.

ა. თანაშვილი.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველი

გამართა მორიგი ტურის მატჩები რსფსრს ზონებში. მოგვყავს მათი შედეგები.

ლი (კასპისკი) 4:2, „ცემენტი“ ხუმი — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:7, „კოლხეთი“ (ფოთი) — „მურა“ (ლანჩხუთი) 0:2.

III ზონა

„არზნი“ (ნახიჭევანი) — „ურთი“ (მაიკოპი) 0:1, „დასიანი“ (ბაქო) — „ურთი“ (ლაბინსკი) 2:0, „ტექსტილშივი“ (მინსკი) — „ტორპედო“ (არმავირი) 1:0, „ურთი“ (სლავიანსკი) — „მრ. რეზრევი“ (კურსკი) 0:1, „ხიმიკი“ (ნევინომინსკი) — „სპარტაკი“ (ორიოლი) 3:1, „ურთი“ (ლენინგრადსკაია) — „სპარტაკი“ (ბელგოროდი) 0:2, „ხიმიკი“ (ბალაიკოვო) — „კოლოსი“ (ალექსანდროვსკაია) 2:1, „ტრუდნი“ (ენგელსკი) — „ურალინი“ (ელსტა) 5:0, „ენერჯია“ (კოლსკი) — „ურთი“ (სვეტლოვოდსკი) 1:1.

მათამაშების ცხრილები

Table with 5 columns: Team Name, Goals, Assists, etc. for III Zone matches.

IV ზონა

„მალაროვლი“ (ჭიათურა) — „ირისთნი“ (მოზდოკი) 1:0, „ლორი“ (კიროვოკანი) — „მამუკი“ (პატიგორსკი) 6:2, „სევენი“ (ოქტომბერიანი) — „არაქსი“ (ენშიაძანი) 4:1, „ნარზანი“ (კასლოვოდსკი) — „კახეთი“ (თელავი) 3:2, „ურთი“ (კრიმსკი) — „ტრუ-

IV ზონა

Table with 5 columns: Team Name, Goals, Assists, etc. for IV Zone matches.



ქველი

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა ფეხბურთის მატჩი სსრ კავშირის პირველ დივიზიონში „კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ მიიღო მახაჩყალის „დინამო“, შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

„სინათლე“ — თბილისის მფლობელი

თბილისი, „დინამოს“ სტადიონი. I სექტემბერი. „სინათლე“ (თბილისი) — „ფიქარი“ (წულუკიძე) 6:2 (6:0). მსაჯი ლ. ჭახაძე (ხაშური).

თბილისელებმა მატჩის დასაწყისშივე მაღალი ტემპი განითვარეს და რამდენიმე მწვევე შეტევით არეულობა შეიტანეს წულუკიძელთა დაცვის რიგებში. სწორედ ეს თავბრუსმომხვევი შეტევი გახდა მიზეზი იმისა, რომ თამაშის დაწყებიდან მე-9 წუთზე სადემონსტრაციო ტაბოზე აღნიშნული იყო 3:0 „სინათლის“ სასარგებლოდ.

მინც რა მოხდა ამ ხანმოკლე ბერიოდში? უკვე მე-2 წუთზე თბილისელებმა აივარა მთელი მატჩის განივი ვადები და გახსნა ანგარიში. ორივედ წუთი არც კი იყო გასული, რომ მძავე ივიგზოვმა კარგად გამოიყენა მეკარის შეცდომა და ანგარიში ორამდე გაზარდა. მასპინძლების შეტევები მინც არ ცხებოდლა. მე-9 წუთზე აივარა კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი და წულუკიძელთა კარში მესამე ბურთი გაიტანა. მასპინძლებმა, როგორც იტყვიან, დებიუტშივე მიიღეს აშკარა უპირატესობა და ცხადია, თამაში მტკბოვრად უფრო გვევაზო-

მიერად, ტექნიკურად გააზრებულად წარმართეს. სტუმრებმა კი პირიქით, ვერაფერი იღონეს, რომ მდგომარეობა გამოეწორობინათ, უფრო მეტიც, ისინი შეტევებს მხოლოდ ორი-სამი ფეხბურთელი წარმართავდნენ რაც, უდაოდ შეცდომა იყო და მდგომარეობის გამოსწორების ყველაზე მცდარი გზა.

26-ე წუთზე იმბაქს მტკიცის კარში შეიხვე ბურთი გააქვს. ათიოდე წუთის შემდეგ კი „ფიქარის“ ფეხბურთელებმა ხელახლა მიუყვებენ თამაშს ცენტრიდან — მიხუთე ბურთი სტუმრების კარში გაიტანა ლორიბე. ტიმის მიწურულში კვერელებზე ოსტატურად აუარა გვერდ რამდენიმე მცველს და ლამაზი დარტყმით ანგარიში ექვსამდე გაზარდა. მართალია, ექვსივე გული თბილისელებმა დამსახურებულად გაიტანეს, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს სტუმრების მეკარის ვაშაკიძის სუსტი თამაში.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა თამაშის ტემპი შეანულეს.

ვე დროს, ბრვნიდიუშმა ფინალში პერსონალურად მიიწვია მხოლოდ მხოლოდ ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, უმაღლეს ტიტულში მისი მტკბოვე ა. კუშნირა (მოსკოვი) და წინა ჩემპიონატის პრიზიტორები — საერთაშორისო ოსტატები სსრ კავშირის ჩემპიონი მ. რანიკუ (ტალინი), ა. ჩაიკოვსკაია (თბილისი) და ოსტატ კ. ყვეგინა (მოსკოვის ოლქი). ფინალის დანარჩენი საგზურებისთვის მოჭადრაკეები შესარჩევ ტურნირებში ჩაებნენ. დღისთვის უკვე ცნობილია ყველა ფინალისტი. აი, ისინი: მხოლოდოს ექს-ჩემპიონი ლ. რუდენკო, რ. ესტერკინა (ლენინგრადის პირველობა), ოსტატი ო. კაცოვა, ნ. მედიანიკოვა (მოსკოვის პირველობა), დონეცკი ნ. რუხინკევიჩი, ლოვოვი ნ. შულკო (უკრაინის პირველობა), მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ოსტატ რ. ბილუნოვა, კოლგოვადელი საერთაშორისო ოსტატი ი. გურფინკელი, პერმელი თ. ბელოვა (რუს-ს პირველობა), საერთაშორისო ოსტატი ნ. ალექსანდრია, მ. სანაძე (საქართველოს პირველობა) საერთაშორისო ოსტატები მინსკელი კ. ზოროვინა, ტაშკენტელი ვ. ბორისენკო (ვილნიუსის ხანვერდინალი), ალმათელი ლ. სტარჩენკო, მინსკელი თ. გოლოვეა (ტიუმენის ხანვერდინალი).

XXVIII ჩემპიონატი დაიწყება 1 ოქტომბერს ფრუნზეში.

საქართველოს პირველი დივიზიონი

„ა“ კლასის I ჯგუფი

- 4. „სპარტაკი“ — „დინამო“ (თბილისი).
5. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (კიროვობადი), „დინამო“ (მინსკი) — „მახტიორი“, „ჩერნომორცი“ — „ხეფტნი“, „ხენიტი“ — „ზარია“, „ტორპედო“ (მოსკოვი) — ასკ (როსტოვი), „კრილია სოვეტოვი“ — „ტორპედო“ (ქუთაისი).
6. „დინამო“ (მოსკოვი) — „პახტაკორი“.
7. ცსკა — „კვირტი“.
8. „ლოკომოტივი“ — „დინამო“ (თბილისი).
9. „სპარტაკი“ — „არარატი“.
10. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „პახტაკორი“.
11. ცსკა — „დინამო“ (კიევი).
12. „დინამო“ (მოსკოვი) — „ჩერნომორცი“, „ხენიტი“ — „ლოკომოტივი“, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (კიროვობადი), „ხეფტნი“ — ასკ (როსტოვი), „კვირტი“ — „კრილია სოვეტოვი“.
13. „დინამო“ (მინსკი) — „სპარტაკი“, „მახტიორი“ — „დინამო“ (თბილისი), „ზარია“ — „არარატი“.
14. ცსკა — „ჩერნომორცი“, „ხეფტნი“ — „ტორპედო“ (ქუთაისი), „კვირტი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი), „პახტაკორი“ — „კრილია სოვეტოვი“, „დინამო“ (კიროვობადი) — ასკ (როსტოვი).
15. „დინამო“ (მინსკი) — „ლოკომოტივი“, „ზარია“ — „დინამო“ (თბილისი), „ხენიტი“ — „სპარტაკი“.
16. „არარატი“ — „მახტიორი“.
17. „ტორპედო“ (მოსკოვი) — ცსკა.
18. „დინამო“ (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი“, „დინამო“ (თბილისი) — „კვირტი“, „პახტაკორი“, ასკ (როსტოვი) — „ზარია“.
19. „ტორპედო“ (ქუთაისი) — „მახტიორი“, „დინამო“ (კიევი) — „ხენიტი“, „ჩერნომორცი“ — „დინამო“ (მინსკი).
20. „სპარტაკი“ — „ხეფტნი“.
21. „ლოკომოტივი“ — „დინამო“ (კიროვობადი).
22. „დინამო“ (თბილისი) — „პახტაკორი“, „არარატი“ — „კვირტი“, ასკ (როსტოვი) — „მახტიორი“, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ზარია“, „ჩერნომორცი“ — „ხენიტი“.
23. „ლოკომოტივი“ — „ხეფტნი“.
24. „სპარტაკი“ — „დინამო“ (კიროვობადი).
25. „დინამო“ (თბილისი) — „პახტაკორი“, „არარატი“ — „კვირტი“, ასკ (როსტოვი) — „მახტიორი“, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ზარია“, „ჩერნომორცი“ — „ხენიტი“.
26. „ლოკომოტივი“ — „ხეფტნი“.
27. „სპარტაკი“ — „დინამო“ (კიროვობადი).

„ა“ კლასის II ჯგუფი

- 7. „ტორპედო“ — „შირაკი“, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „მეშახტე“, „თერგი“ — „დინამო“ (ბათუმი), „დინამო“ (მახაჩყალა) — „ფოლადი“ (სუმგაითი), „ურალმაში“ — „რუბინი“, „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) — „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა), „მეტალურგი“ — „ვოლგა“ (გორკი), „სტრამიტელი“ — „ვოლგარი“, „ხენიტი“ — „ტრაქტორი“, „ხევეზა“ — „ვოლგა“ (ულიანოვსკი).
15. „დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (მახაჩყალა), „მეშახტე“ — „ლოკომოტივი“ (თბილისი), „შირაკი“ — „ფოლადი“, „ვოლგა“ (ულიანოვსკი) — „ტორპედო“, „ტრაქტორი“ — „თერგი“, „ვოლგარი“ — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), „ვოლგა“ (გორკი) — „სტრამიტელი“, „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) — „ხევეზა“, „რუბინი“ — „ხენიტი“, „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) — „მეტალურგი“.
19. „დინამო“ (ბათუმი) — „ფოლადი“, „მეშახტე“ — „დინამო“ (მახაჩყალა), „შირაკი“ — „ლოკომოტივი“ (თბილისი), „ვოლგა“ (ულიანოვსკი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), „ტრაქტორი“ — „ტორპედო“, „ვოლგარი“ — „თერგი“, „ვოლგა“ (გორკი) — „ხენიტი“, „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) — „სტრამიტელი“, „რუბინი“ — „ხევეზა“, „მეტალურგი“ — „ურალმაში“.
23. „დინამო“ (მახაჩყალა) — „შირაკი“, „ფოლადი“ — „მეშახტე“, „ვოლგა“ (ულიანოვსკი) — „თერგი“, „ტრაქტორი“ — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), „ვოლგარი“ — „ტორპედო“, „ვოლგა“ (გორკი) — „ხევეზა“, „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) — „ხენიტი“, „რუბინი“ — „სტრამიტელი“, „ურალმაში“ — „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი).
24. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დინამო“ (ბათუმი).
30. „ტორპედო“ — „ვოლგა“ (გორკი), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „რუბინი“, „თერგი“ — „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა), „დინამო“ (მახაჩყალა) — „ვოლგა“ (ულიანოვსკი), „ფოლადი“ — „კვირტი“, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ტრაქტორი“, „მეშახტე“ — „შირაკი“, „სტრამიტელი“ — „ურალმაში“, „ხენიტი“ — „მეტალურგი“, „ხევეზა“ — „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი).

„ბ“ კლასი

ჩვენი რესპუბლიკის გუნდებისთვის

- 4. „ტორპედო“ (არმავირი) — „მეტალურგი“ (რუსთავი), „ურთი“ (ლაბინსკი) — „ალაზანი“ (გურჯაანი), „ურთი“ (მაიკოპი) — „დილა“ (გორი).
8. „ტორპედო“ — „დილა“, „ურთი“ (ლაბინსკი) — „მეტალურგი“, „ურთი“ (მაიკოპი) — „ალაზანი“.
18. „ტორპედო“ — „ალაზანი“, „ურთი“ (ლაბინსკი) — „დილა“, „ურთი“ (მაიკოპი) — „მეტალურგი“.
17. „მეტალურგი“ — „ურალნი“ (ელსტა), „დილა“ — „კოლოსი“ (ალექსანდროვსკაია), „ალაზანი“ — „ურთი“ (სვეტლოვოდსკი).
21. „მეტალურგი“ — „ურთი“ (სვეტლოვოდსკი), „დილა“ — „ურალნი“, „ალაზანი“ — „კოლოსი“ (ალექსანდროვსკაია).
25. „მეტალურგი“ — „კოლოსი“ (ალექსანდროვსკაია), „დილა“ — „ურთი“ (სვეტლოვოდსკი), „ალაზანი“ — „ურალნი“.
29. „სპარტაკი“ (ორიოლი) — „მეტალურგი“, „მრომთი რეზერვები“ (ურსკი) — „ალაზანი“, „სპარტაკი“ (ბელგოროდი) — „დილა“.

რსფსრ-ს IV ზონა

- 4. „შუქურა“ (ქობულეთი) — „მალაროვლი“ (ჭიათურა), „მერცხალი“ (მახარაძე) — „ლორი“ (კიროვოკანი), „გურია“ (ლანჩხუთი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი), „ურთი“ (დერბენტი) — „დინამო“ (სოხუმი), „ტრუდნი“ (კასპისკი) — „კოლხეთი“ (ფოთი), „კახეთი“ (თელავი) — „ენგური“ (ხუტაისი).
8. „შუქურა“ — „სპარტაკი“ (ცხინვალი), „მერცხალი“ — „მალაროვლი“, „გურია“ — „ლორი“, „ურთი“ (დერბენტი) — „ენგური“, „ტრუდნი“ — „დინამო“ (სოხუმი), „კახეთი“ — „კოლხეთი“.
18. „შუქურა“ — „ლორი“, „მერცხალი“ — „სპარტაკი“ (ცხინვალი), „გურია“ — „მალაროვლი“, „ურთი“ (დერბენტი) — „კოლხეთი“, „ტრუდნი“ — „ენგური“, „კახეთი“ — „დინამო“ (სოხუმი).
17. „მალაროვლი“ — „ურთი“ (დერბენტი), „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „კახეთი“, „ხევენი“ (ოქტომბერიანი) — „შუქურა“, „ლენინგოვლი“ (კოფანი) — „გურია“, „არაქსი“ (ენშიაძანი) — „მერცხალი“, „დინამო“ (სოხუმი) — „ნარზანი“ (კასლოვოდსკი), „ენგური“ — „ცემენტი“ (ნოვოროსისკი), „კოლხეთი“ — „ურთი“ (კრიმსკი).
21. „მალაროვლი“ — „ტრუდნი“, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ურთი“ (დერბენტი), „ლორი“ — „კახეთი“, „ხევენი“ — „მერცხალი“, „ლენინგოვლი“ — „შუქურა“, „არაქსი“ — „გურია“, „დინამო“ (სოხუმი) — „ურთი“ (კრიმსკი), „ენგური“ — „ნარზანი“, „კოლხეთი“ — „ცემენტი“.
25. „მალაროვლი“ — „კახეთი“, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ტრუდნი“, „ხევენი“ — „გურია“, „ლენინგოვლი“ — „მერცხალი“, „არაქსი“ — „შუქურა“, „დინამო“ (სოხუმი) — „ცემენტი“, „ენგური“ — „ურთი“ (კრიმსკი), „კოლხეთი“ — „ნარზანი“.
29. „შუქურა“ — „მამუკი“ (პატიგორსკი), „მერცხალი“ — „ირისთნი“ (მოზდოკი), „გურია“ — „ურთი“ (გროსნო), „კახეთი“ — „ლენინგოვლი“, „ნარზანი“ — „მალაროვლი“, „ცემენტი“ — „სპარტაკი“ (ცხინვალი), „კოლხეთი“ — „ენგური“.

1 ოქტომბერს, ფრუნზეში

ამ ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკე ქალი გამოვლინდა. სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობის პრეტენზია ახლა ბევრს აქვს. ამიტომ აუცილებელი შეიქნა პირველადი მესარჩევი ტურნირების მოწყობა.

სსრ კავშირის ჰიდრაიკის ფედერაციის პრეზიდიუმი ჩვენს ქვეყნის ქალთა XXVIII ჩემპიონატის ფინალის მონაწილეთა რაოდენობა 20 მოჭადრაკით განსაზღვრა. ამ-

